



# ასპინძის

## სახელოები

ასპინძის მუნიციპალიტეტი \* ოქტომბერი. 2022 \* (7)83

შეთავაზება = 2022

### „მიღწვიან, მტმიგონებენ...“

ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მადლიერმა ქართველმა ერმა, მთელი მსოფლიოს ლიტერატურულ საზოგადოებასთან ერთად, დიდი ზეიმით აღნიშნეს, გენიალური პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილე. საიუბილეო დღეების თითოეული დღე თუ საათი დღესაც ტკბილ მოგონებად რჩება იმ თაობის მესხიერებაში, ვინც კი ამ მოვლენის მომსწრე და თვითმხილველი გახდა. ეს იყო ლექსის ზეიმი, რომლის მსგავსი, მოწვეულ უცხოელ სტუმართა შეფასებებით რომ ვთქვათ, ალბათ, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას არ ახსოვს.

აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის „მოგონებებში“ ვკითხულობთ: „გარეთ რომ გამოვდით, მასპინძლები შეგვაკართო სცენამ წიგნების კიოსკთან: ხალხი ერთმანეთს გლეჯდა ხელიდან ახალ გამოცემებს, კინაღამ არ გადაატრიალეს კიოსკი. მაგრამ სტუმრები სხვა რამემ გააოცა: ერთმა გრანგმა მწერალმა მიმართა მეორეს: – წარმოგიდგინათ, ვიქტორ ჰიუგოს რომ ასე გლეჯდნენ ერთმანეთსო (ყურად გარიტო, რომელმაც საქართველოში ამ მოგზაურობის შესახებ ბროშურა გამოსცა, ანალოგიურ რამეს წერდა: „ხელჩართული ბრძოლა იყო „ვეფხისტყაოსნის“ ახალი საიუბილეო გამოცემის პირველი ეგზემპლარების ხელში ჩასაგდებად. არა ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს ქვეყანაში ამგვარივე რამ მომხდარიყო „როლანდის სიმღერის“ გამო“). რამდენიმე დღის შემდეგ კი, უკვე ახალციხეში, როცა დაინახეს, რომ მთელი მესხეთი ფეხზე იდგა, რომ თბილისიდან ახალციხემდე მთელი ხალხი ზეიმობდა, მათვე მიუხრეს: ვიქტორ ჰიუგოს ან ბალზაკს 100, 200, 800 წელი რომ შეუსრულდეს, ეს მხოლოდ ინტელიგენციის და მწერალთა ვიწრო წრის საქმე იქნება, სოფლად ამას ვერც კი გაიგებენ“.



რუსთაველს ფეხი დაუდგამს და მადლიანმა ქართულმა მიწამ გავარდა და კაცობრიობას მსოფლიო გენია მისცა.

ასევე სამწუხაროა ის ფაქტი, რომ გარდამავალ პერიოდში, წლების მანძილზე, ვერ ხერხდებოდა ტრადიციული პოეზიის სახალხო დღესასწაულის – „შოთაობის“ გამართვა და ნავსი 2008 წლის სექტემბერში განყდა, როცა აღდგა ეს დღესასწაული და



მას შემდეგ 15 წელია ტრადიციულად, ყოველწლიურად იმართება „შოთაობა“, რომელსაც ვერც „კორონა-ვირუსმა“ შეუშალა ხელი და, ალბათ, მომავალშიც ასე გაგრძელდება.

წლებიდან „შოთაობაც“ არა რიგითი, არამედ გამორჩეული იყო თავისი ორგანიზებულობით, რომელიც სოფელ რუსთავეში 24 სექტემბერს გაიმართა.

ლონისძიების დაწყებამდე ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა, მოწვეულ სტუმრებთან ერთად, დაბის ცენტრში, ე.წ. სამკუთხა პარკსა და სოფელ რუსთავეში შოთა რუსთაველის ძეგლები ყვავილებით შეამკეს.

დღესასწაული დამსწრე საზოგადოებას მიულოცეს ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა მეუფე თეოდორემ (ჭუაძემ), ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის მაჟორიტარმა დეპუტატმა ანტონ ობოლაშვილმა, სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი მაყვალა გონაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი, პოეტი ჯუბა ღებელი. ლონისძიების პარალელურად გაიმართა მუნიციპალიტეტის ხალხური რენვის ოსტატთა ნამუშევრების გამოვენა-გაყიდვა, სპორტული შეჯიბრებები მკლავჭიდში, ჭიდაობა-

სა და საჯილდოო ქვის აზიდვაში. სპორტულ ლონისძიებებში გამარჯვებულებს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით გადაეცათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

„შოთაობა-2022-ის“ დღესასწაულზე ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის მაჟორიტარმა დეპუტატმა ანტონ ობოლაშვილმა, სახელმწიფო რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ „საპატიო ასპინძელის“ წოდების დაბადსტურებული სერტიფიკატე-



ბი საზეიმოდ გადასცეს – ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტ მეუფე თეოდორეს (დმიტრი ჭუაძე), დაბა ასპინძაში მცხოვრებ მედიცინის ღვაწლმოსილ მუშაკს, ამჟამად პენსიონერ თამარ ყიფიანს და ცნობილ ბიზნესმენს, ქალაქ თბილისში მცხოვრებ, სოფელ რუსთავეში შესანიშნავი ტაძრის ამშენებელსა და მეცენატს, ამავე სოფლის მკვიდარ დევანოზ ინასარიძეს. მათვე გადაეცათ ასპინძის ომის 250 წელთან დაკავშირებით გამოცემული წიგნი-ალბომი „სიკვდილის ღვინო ასპინძაში“.

დღესასწაულზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, 2015 წლიდან ტრადიციულ ქვეული „ვეფხისტყაოსნის“ სამზიფო წიგნები გადასცა მუნიციპალიტეტში 2022 წლის ბოლო პერიოდში ახალდაქორწინებულ წყვილებს.

პოეზიის სახალხო დღესასწაულზე (2008 წლიდან) გაზეთ „ლიტერატურული მსხეთის“ მიერ გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულებს (ამჟამად ამ პრემიის 90-მდე ლაურეატი) გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები: მათ შორის საპატიო ასპინძელის, დიდი ქველმოქმედისა და ბიზნესმენის, ემზარ ასპინძის მიერ დაწესებული გრან-პრი – 3 000 (სამი ათასი) ლარი გადაეცა რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარეს, შესანიშნავ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს დავით შემოქმედელს (ჭაკიძეს), ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაწესებული პირველი პრემია – 1500 (ათასხუთასი) ლარი – გორის მწერალთა რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ დავით ახლოურს, კერძო პირ ელდარ ალიევის (რომელიც ყოველწლიური დამინანსებელია ამ პრემიის) მიერ დაწესებული მეორე პრემია – 1000 (ათასი) ლარი გადაეცა ახალგაზრდა პოეტს ნინო ჭიჭუაშას. მესამე პრემია – 600 ლარის ოდენობით, რომელსაც ასევე ტრადიციულად აფინანსებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი – გადაეცა ცნობილ პოეტს ნინო მოდრეკილაძეს, ხოლო თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტის მიერ დაწესებული ყოველწლიური მეოთხე პრემია გადაეცა საქართველოს დამსახურებულ პედაგოგს, მესხ პოეტს, ვლადიმერ ველიჯანაშვილს.

სახალხო დღესასწაულზე მობრძანებულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ხალხური რენვის ოსტატთა, მხატვრებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ნამუშევრების გამოვენას. ასევე, ეთნოგრაფიული კუთხისა და სახალხო დღესასწაულისათვის სპეციალურად მოწყობილ ფაცხებში დავემოვუხებინათ ადგილობრივი მესხური კერძები. საზეიმო კონცერტში მონაწილეობას ღებულობდნენ ასპინძის კულტურის ცენტრის ანსამბლი (ხელმძღვანელი ჯაბა ასპინძი) და მგალობელ მომღერალთა ანსამბლი „დიდგორი“.

ავთანდილ მისხი



ლად ნათქვამი ფრაზები. ჭეშმარიტად იყო ასე და თუ დიდი ვაჟას სიტყვებს მოვიშველიებთ: „შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე „ვეფხისტყაოსანი“, ეს სიტყვები ერთიანად, სრულად ეხება საქართველოს, რომელმაც შვა მსოფლიო დონის ყველასაგან გამორჩეული პოეტი, რომელსაც დღესაც ცივილიზებული სამყარო მას ნომერ პირველ პოეტად აღიარებს (ასევე მეორე მსოფლიო პოეტად მიჩნეულია ვაჟა-ფშაველა) და ჩვენ, ამ ქვეყნის შვილებს, უფლება არ გვაქვს ღირსეული პატივი არ მივავითო მის სახელსა და დიდებას. თუმცა, რაოდენ სამწუხაროა, რომ ბოლო 30 წელია საქართველოში წიგნისადმი ინტერესი დაკარგა და ერის სულიერი საზრდო – მეორე ხარისხობნად იქცა, ლიტერატურისადმი სიყვარული გაცივდა, რის გამოც – სულის პურმაც თითქოს დაკარგა თავისი მთავარი ფუნქცია.“

რუსთაველის მსგავსი მსოფლიო ისტორიაში იშვიათ გამოწვევის წარმოადგენენ და ჩვენთვის – ასპინძელებისთვის, განსაკუთრებით საამაყო, რომ იმ მიწის შვილები ვართ, სადაც



# მუნიციპალიტეტის სახეზედოში

ამ დღეებში გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა, დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები განიხილეს;

– „ასპინძის მუნიციპალიტეტის დაბა ასპინძის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან / და წვრილფეხა პირუტყვის ყოლის წესის დამტკიცების თაობაზე“;

– „ასპინძის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ; დეპუტატებმა წარმოდგენილი სა-



კითხები ერთხმად დაამტკიცეს.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჯვარიძემ დეპუტატებს მიანოდა ინფორმაცია:

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების გაცნობის თაობაზე;

2. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 22 აგვისტოს N120.120222341 ბრძანება მუნიციპალიტეტის პროგრამულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის თაობაზე.

რის შემდეგაც საკრებულოს თავმჯდომარემ ბესო ბერიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

## ბუნებრივი აირი მალე პრობლემა აღარ იქნება



ასპინძელებისთვის ერთ დროს ოცნება იყო მოსახლეობის გაზოფიცირება. გა-

სული საუკუნის 90-იან წლებში თითქოს ეს პროცესი ადგილიდან დაიძრა, გაზგაყვანილობის მიღებამ ე.წ. დამალის ტყის ზოლამდეც მოაღწია, მაგრამ, დროთა განმავლობაში, ეს პროცესი აღარ გაგრძელდა და მხოლოდ ბოლო ხუთი წელია რაც ასპინძაში გაზოფიცირება დაიწყო და მუნიციპალიტეტის ბევრი სოფელი დღეს უკვე ამ სიკეთით სარგებლობს. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მის მიერ მოტანილმა სიკეთემ განსაკუთრებული ეფექტი მოახდინა როგორც თითოეული ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ასევე მათ კომფორტზე, – უპირველესად, ბევრგან შესამჩნევად შეჩერდა ტყის მასიური ჭრები და მოსახლეობის დიდი ნაწილი სანავადა ახლა მხოლოდ ბუნებრივ

აირს იყენებს. ფაქტია, რომ თითოეული ოჯახი საშუალოდ ყოველწლიურად სანავადად საშუალოდ ხუთიდან, ზოგჯერ ათ კუბმეტრამდე შეშას მოიხმარს, რის გამოც დიდი ეკოლოგიური საფრთხე ექმნება ჩვენს ბუნებას, ჩვენს ტყეებს, მაშინ, როდესაც ტყის გაშენება თითქმის აღარ ხდება. მუნიციპალიტეტში გაზოფიცირების სამუშაოების ინტენსიურობამ კი, შესაძლოა, უახლოეს მომავალში, მოსალოდნელი საფრთხეები თავიდან აგვაცილოს.

მოსახლეობის გაზოფიცირების პროცესი ისეთი ტემპით მიმდინარეობს, რომ უახლოეს მომავალში მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მთლიანად იქნება გაზოფიცირებული. სწორედ

ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ახლახან, პროექტის ფარგლებში, ამ ეტაპზე, დამატებით გაზოფიცირებულია სოფლები: ორგორა, საყუდაბელი, ომორა, იდუმალა, ძველი, ჭობარეთი და მიმდინარეობს ამ პროცესში ბუნებრივი აირის მსურველთა ეტაპობრივად ჩართვა.

ახლახან ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის მაჟორიტარი დეპუტატი ანტონ ობოლაშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად აღნიშნულ სოფლებში გამრიცხველიანების პროცესს დაესწრნენ და სიმბოლურად რამდენიმე ოჯახში ახლადაშენებული ბუნებრივი აირის ანთეს.

## დასუფთავების ჯამის შესახებ

ერთხელ დიდ პედაგოგს მაკარეკოს ახალგაზრდა დედამ ჩველი ბავშვი მიუყვანა და რჩევა სთხოვა, როდიდან დაეწყო ბავშვის აღზრდა. მაკარეკომ ჩველის დედას უთხრა, უკვე დაგვიანებულია, რადგან ბავშვის აღზრდა დედის მუცლიდან იწყებაო. ჭეშმარიტებას ბრძანებდა დიდი პედაგოგი. ჩვენ, ჩვეულებრივი მოკვდავი ამა ქვეყნისანი, ყველა უმსგავსო საქციელზე ხშირად ვხუჭავთ თვალს, თითქოს ჩვენი გასაკითხი არ არის, მას პატრონი ყავს და იმან განიკითხოსო. თუმცა ყოველგვარ წვრილმანზე პრეტენზიებს გამოვთქვამთ და მავანს და მავანს ვსაყვედურობთ. პარადოქსია, მაგრამ, ცხადია, უმრავლესობას ევროპისკენ გვიჭირავს თვალი, მაგრამ ევროპულად აზროვნება და, რაც მთავარია, ქცევა, არა და არ შეგვიძლია. სწორედ აქ მარხია ძალის თავი, 30 წელზე მეტია რუსულ იმპერიას თავი დაეაღწია და ჩვენი მოვლითაობის აღზრდა ვერ ვისწავლეთ, გაჭირვებისა თუ სხვა მიზეზთა გამო უცხოეთში გადახვენილ მშობელთა დიდი ნაწილი ვეღარ იცლის შვილის აღზრდისათვის და მზრუნველობამოკლებული მოზარდი ქუჩის გავლენის ქვეშ ექცევა და ყოველგვარ მორალზე საუბარი უკვე ზედმეტი ხდება. მეტი თავისუფლება თავისუფალი ქცევის მანერებს

უყალიბებს და აღარ ხდება სხვისი მიმბაძველი. იქცევა ისე, როგორც სურს. შეუძლია უდიერად მოექცეს სახელმწიფო ქონებას, დაანავიანოს ქუჩა თუ დასასვენებელი პარკი, არ მიიღოს უფროსების შენიშვნა და ა.შ.

საზოგადოებამაც თითქოს წაუყრია, აუტკივარი თავის ატკივას – უსიამოვნებას ურიდებინა. აი თუნდაც, ბევრჯერ გვითქვამს და ახლაც გავიმეორებ – ასპინძის ე.წ. სამკუთხა პარკში მშენიერი პირობებია შექმნილი იმისათვის, რომ ნებისმიერმა ასაკის ადამიანმა დაისვენოს, მაგრამ დასვენება ერთია და სუფთად ყოფნა მეორე. ყველა – დიდი თუ პატარა ვერ შეეჩვია იმას, რომ გარეუფრთხილდეთ მას და დავიცვათ ელემენტარული მოთხოვნა – ნუ დავანავიანებთ პარკს! შენიშვნის მიცემა კი არავის სურს, ბავშვს რომ უზარალოდ, მოუთითო, – არ დაანავიანოს, არ დააბინძუროს მისთვის და მისნაირებისათვის კეთილმოწყობილი პარკი, არადა ხშირად

ზრდასრული ადამიანებიც კი უსაქცილოდ იქცევიან – სანავადა ყუთი გვერდზე რომ ედგათ, ნავაგვს, განსაკუთრებით მზესუმზირის ნარჩენებს, პირდაპირ სკამის წინ ყრიან. ეს აქ, ცენტრ-



ში, მაგრამ უარესი მდგომარეობაა ცენტრალური მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიებზე, სადაც ათასი ჯურის გამველე-გამომველი – ავტომანქანის მძღოლები, მასობრივად აბინძურებენ საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიებს და, სამწუხაროდ, მოუხედავად ამ რამდენიმე წლის წინ მიღებული კანონისა, დღემდე

არავის უნახავს ფაქტზე დაჯარიმებული არც მძღოლი და არც მგზავრი. მისი დასუფთავება კი მუნიციპალიტეტის თუ მუნიციპალიტეტში შემავალი ა(ი)პ-ების და დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს უხდებათ. ამ გზაზე კი ათასობით ტურისტსა თუ ექსკურსანტს უხდება მოგზაურობა და რა მთავრდება მთავრდება ხოლმე საქართველოს, ცხადია.

ახლახან კიდევ ერთი ფართომასშტაბიანი დასუფთავების აქცია მოახდინა მუნიციპალიტეტის მერიამ, კიდევ ერთხელ დაასუფთავეს ასპინძისთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზა და თავად განსაზღვრეთ, ძვირფასო მკითხველო, კარგად დააკვირდით მარტო ამ სურათს და მიხვდებით, რა დონის ადამიანები არსებობენ კიდევ, რომლებსთვისაც სულ ერთია – სუფთა გარემოში იცხოვრებენ თუ...

აღნიშნული აქციის მსვლელობისას მოზიზებული იყო ა(ი)პ „კეთილმოწყობის“ სამსახურის სპეცტექნიკა, რომელიც დროულად ახდენდა შეგროვილი ნარჩენების გატანას.

ამდენად, ვფიქრობ, საჭიროა მეტი კონტროლი და, რაც მთავარია, იქ სადაც ტკბილი სიტყვა არ ჭრის, სხვა ზომების მიღება საჭირო და მაკონტროლებელმა ორგანოებმა მეტი სიფხიზლე უნდა გამოიჩინონ.

## მინისტადიონის გახსნა



დღეს, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის მაჟორიტარმა დეპუტატმა ანტონ ობოლაშვილმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველში ახალი ხელოვნურ-საფარიანი მინი სტადიონი გახსნეს.




ახალ მინი სტადიონზე სოფლის ახალგაზრდებსა და მერიის თანამშრომლებს შორის თამაში გაიმართა. აღნიშნული პროექტი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა, რომელსაც აწარმოებდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მშენებელი-2004“.

## სოფელ ივერიაში სპორტული მოედნის მშენებლობა დაიწყო

„ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო“, – უთქვამს ბრძენ კაცს. სპორტის გარეშე კი ადამიანი ვერასრულდება სრულყოფილად ჩამოყალიბებული. მოზარდი თაობისთვის კი აუცილებელია სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსების შექმნა, სადაც მათ შესაძლებლობა ექნებათ გაიკაჟონ თავიანთი სხეული, ჩაებნენ სპორტის სხვადასხვა სახეობებში და მონაწილეობა მიიღონ მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში.



თითოეული ასპინძელისათვის თვალმისაცემია, რომ, ბოლო რამ-



დენიმე წელია, მუნიციპალიტეტში ინტენსიურად მიმდინარეობს სპორტული მოედნების მშენებლობა და სპორტისადმი ინტერესიც მნიშვნელოვნად იზრდება. ასეა სოფელ ივერიაშიც, სადაც ცოტა ხნის წინ დაიწყო და ამჟამადც მიმდინარეობს სამუშაოები, რომელსაც აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ჯორჯიან ინვესტი“, რომლის სახელმწიფოებო ღირებულება 149 899 ლარს შეადგენს.

აღნიშნული პროექტით მოწყობა სტანდარტების შესაბამისი მინი სტადიონი.



### ქველი და ახალი ნაძალაქები



ნაძალაქები XX ს-ის 30-იანი წლები



ნაძალაქები 2022 წელი

## განცხადება

ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველო, კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით, – ვისაც საოჯახო ალბომში შემორჩენილი გაქვთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე – დაბასა თუ სოფლებში, ნებისმიერი ობიექტის ხედვები, პეიზაჟები, ისტორიული ძეგლების სურათები, ასევე ამავე პერიოდის ასაკოვანი ადამიანების ჯგუფური საინტერესო სურათები, რომლებიც ძველ დროს (60 წელზე მეტ ხანს) განეკუთვნებიან, მოგვანოდით გახვებით გამოსაქვეყნებლად (მისაღება სურათის მონოდების ნებისმიერი ფორმა – სურათი ან მისი ელექტრონული). სურათზე მიუთითეთ მომწოდებლის გვარი, სახელი, სადა არის გადაღებული და როდის. მონოდებულ სურათებს პერიოდულად გამოვაქვეყნებთ ჩვენს გაზეთში.

*რედკოლეგია*

## ჭობარაი „ყოჩაღსი“

იყო ერთი ძველი „კეთილი დრო“, მაშინ ჩვენს დედამიწაზე არსებობდა სახელმწიფო – „საბჭოთა კავშირი“, რომლის შემადგენლობაში შედიოდა თხუთმეტი რესპუბლიკა, მათ შორის ჩვენი სამშობლო საქართველოც, იმ ქვეყანაში იყო კომუნისტური წეს-წყობილება, სამართლებრივად არ არსებობდა კერძო საკუთრება, ყველაფერი საერთო ანუ სახელმწიფო საკუთრება იყო. სოფლებში არსებობდა საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, ჩვენს სოფლებშიც, ჩველებრივად ჩამოყალიბებული იყო კოლმეურნეობა, რომელსაც ჰყავდა თავმჯდომარე და მართავდა კოლმეურნეობას. სოფელს ასევე ყავდა აგრონომები და ბრიგადირები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ მიწის ნაკვეთების დახვნა-დაამუშავებას, დათესვას, მოვლა-მოყვანას, აღებას და დაბინავებას, კოლმეურნეობაში დასაქმებული იყო მთელი სოფელი, სხვადასხვა სფეროში, ზოგი ფერმერში, ზოგი მექანიკაში და ა.შ. ანუ ყველას თავისი საქმე ჰქონდა მინდობილი, კოლმეურნეობაში ასევე იყო „ყოჩაღსი“ შტატი (ყოჩაღსი ჭობარულ ენაზე ნიშნავს მეველეს, ისევე როგორც ჩვენს ენაზე ფიჭვის ხეს ჰქვია კაჭარი, გორჩხ – კოყია, რკოს – კუკური და ა.შ.), მათ მოვალეობაში შედიოდა – დაეცვათ ნათესები და მიწდურები „მოძალადე ელემენტებისგან“, – ბავშვებისგან, ხბო-კრავისაგან და ბატებისაგან, ბავშვები დადიოდნენ ხბო-კრავში და, პარალელურად, გართობის მიზნით, დარბოდნენ ყანებში – ზოგი ყაყაჩოებს კრიფავდ, ზოგი გვირგვინებისათვის ყვავილებს აგროვებდა, ზოგი – გორგის სააკაძე იყო და „ხმალით“ – ჯოხით, თავთავებს სხვიავდა ანუ მტერს თავებს სჭრიდა, რითაც, ცხადია, ნათესებიც ნადგურდებოდა. უფრო მეტიც – ბავშვებისაგან მიტოვებული ხბო-კრავი კი შეცვივდებოდა ყანებში და ქელავდა და ანადგურებდა ჯეჯილს და, ბოლოს, რაც მთავარია, ბატები გადაუფლიდნენ ხოლმე ყანებს. იმ დროს, წესი იყო, რომ ოჯახს არ შეეძლო ერთ ძროხაზე და 5 ცხვარზე მეტი შეენახა, ასევე წესი იყო, რომ გოგოს როცა გაათხოვდნენ, მისთვის მზითავად ხუთი ხელი ლოგინი უნდა გაეტანებინათ, ლოგინს ბალიშები სჭირდებოდა, ბალიშებს ბუმბულო, რომელსაც ბატი იძლეოდა. აქედან გამომდინარე, ვინაიდან პირუტყვის ყოლა შეზღუდული იყო და, თანაც ბუმბული იყო საჭირო, ამიტომ ხალხი დიდი რაოდენობის ბატს ინახავდა და როდესაც დადგებოდა მოსავლის აღების დრო, სწორედ მაშინ შეესოფდნენ თემურ ლენგის ურდოები ბატები ხორბლისა და ქერის ყანებს. ბატების თარეშის შემდეგ ყანებში მარტო ღეროები რჩებოდა, რითაც დიდი ზარალი ადგებოდა კოლმეურნეობას, დანაყრებული ბატები აფრინდებოდნენ ბაირებიდან და ფრთხილად უნდა ყოფილიყავი, რომ დაბლა, კანტორასთან ან სტა-

## „ყოჩაღსი“

ყოჩაღსი გადის კოტორა, გადარული ცეცია, გადმოდგა ბაირის თავზე, მხარზე გაიდო კეცია. მას გვერდით ჰყავს კაკული, ის უარესი ცეცია, სოფლის ბატსა და ქათამსა ყველას დაჰმართა რეცია.

ხელი-ხელ გადახვეული ჩამოვილიან სოფელში, ცოტა ფეხებსაც ხლართავენ „ოტკა“ ჩაისხეს ოხერში, კაკულამ უთხრა კოტორას ჩვენა ვართ სოფლის ბატონი თუ ბატი ვნახეთ ყანაში, იმათ მოუკლათ პატრონი.

**გიორგი ჯვარიძე**

## ფოლკლორი

\*\*\*  
გულიდან გულში გადამფრენები არ მასვენებენ მუზა-რითმები, როგორც ფრთიანი ანგელოზები მიყვარს ქართული მანდილოსნები.

\*\*\*  
ლამაზად მოდის ლამაზი ქალი, მგონი ცხადში ვარ, არ მეჩვენება, იმის შემყურე აღარც კი ვიცი, – რა მეშველება, რა მეშველება.

\*\*\*  
„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“, – კარგი რა, ერთი, თუ ძმა ხარ, ფული გაქვს? – ყველა შენია.

უფულო – თავის მტერია, მტერი კი ქუჩის მტვერია, იქნებ მოყვარეც მტერია, მე მაგათ ამოცნობაში ჭალარა გამოძერია.

*მთქმელი ზეზუბა ბიბილაშვილი, 62 წლის. ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფ იდუმალა*

## ეპოპეის სადღებრელო

(ასპინძის სამხრეთი აგაპი)

ჭას ვთხრო! ჩემი ჭა არცერთს არ უნდა ჰგავდეს ჩვენს სამეზობლოში. პირველ რიგში, უნდა იყოს ღრმა, ფართი და წმინდა წყლიანი – ამას იმ პეტრეს ჯინაზე ვაკეთებ, ამ გაზაფხულზე სამეზობლოდ წყალი რომ არ მომცა თავისი ჭიდან.

– აბა, რა, – კაცი ვარ და ქუდი მხურავს!  
– ძალა? ძალაც მაქვს!  
– მუხლი? – მუხლიც მიჭრის! ვნახოთ, ვინაა ლოთი! – მე თუ ის.

– აბა, ბიჭო კახა, შეილო! ცივი წყალი გამომიტანე მაცივრიდან, კუთხეში რომ დგას! ცოტა კიდევ და სარბენი არ გვექნება იმ საერთო „კრანზე“, ქუჩაზე რომ დაგვიდგეს შარშან, მთავრობის ხალხმა!

ხამალა გაგვძახე ჩემი ვაჟიშვილს – ჭის თავზე რომ მაღა ზემოდან და ფიქრი გაავარძელე ხამალა,

– არაფერი არ მინდა ამქვეყნად, ოღონდ პეტრე მოვიდეს ჩემთან წყალზე. კი გავატან, როგორ დავუჭერ წყალს მასავით. წყალს კი არა და ღვინოსაც დავალევივინებ, კიდევ გავატან, მწვანდაც შევუნვამ, ამ წყლით მონეულ ბოსტნეულითაც გავუშამსპინდლები, აბა რა, მასავით თუნენი კი არ ვარ! მეზობლობაც ვიცი და კაცობაც გამაჩნია.

კახამ კიბე ჩამოგდა ჭაში. მერე ცივი წყალი ჩამომანოდა. სიამოვნებით დავლიე.

– ცოტა კიდევ მომეხმარე შეილო, გენაცვალოს მამა და მერე ნადი, სადაც გინდა, – ავძახე ზემოთ.

– ამოდი მამი, ახლა მე ნავიმუშავებ, ცოტა ხანს! – ჩამომძახა მან.

– არა, შეილო, შენ კიდევ შეისვენე, ბებერი ხარის რქაც ხნავსო, ხომ გაგიგონია? ოღონდ ეს კიბე მომპოვებ აქედან. მალაზიაში გაიქეცი და ერთი კაი ცივი ლუდიც დავაყოლოთ ზედ! – ავძახე.

კახამ ჩემი სურვილი ბრძანებად მიიღო, კიბე ზემოთ ასწია, ხეს მიაყუდა, მერე ჯიბეზე გაიკრა ხელი...

– შა, მამი, რამდენი ბოთლი გვეყოფა?  
– შენ რა, პირველად მოგაქვს ლუდი?! „ყაზბეგი“ ნამოილე, ოთხი ბოთლი, ნახე ცივი რომ იყოს!

გათხროდი ჭაში ნინაბი გვერდზე მივაყუდე და კუთხეში ჩავიმუხლე.

– ენაცვალოს მამა ჩემს კახას, ცოტა კიდევ და დავაქორწინებ. ოჯახში ახალი სიცოცხლე შემოვა. გამზადებული სახლ-კარს დავახვედრებ. ისე კი არა, მე რომ დამიტოვა მამაჩემმა.

ვზივარ და დრო ნელ-ნელა გადის ფიქრებში...

\*\*\*  
ჯერ ჩემს ახალგაზრდობას გადავხედი, მერე სკოლის წლებს, ისიც გაიხსენე, როგორ შევხვდი ჩემს მეუღლეს პირველად... მომწყურდა:  
– წყალიო! – ავძახე ზემოთ. არავინ გამოემხმარა. კიბეს ავხედე. იგი ჩემგან შორს, ხეზე იყო მიყუდებული.

ვიფიქრე: – წყურვილს გავუძლებ, როგორმე ცივი ლუდის მოლოდინში... დრო კი მძიმედ მიიზღაზნება... როცა მომხივდა, მაშინლა მივხვდი, რომ ჭაში უკვე რამდენიმე საათია უპატრონოდ ვზივარ. შევმინდი კიდევ, კარგახანს მიტოვებული.

ფეხზე ნამოვდექი, მაგრამ სად წავიდოდი... ჯერ ყვირილი ავტეხე, მერე ღრიალი მოერთე: – კახაა, კახაა!.. იგი კი არსად ჩანს... ილაჯი გამიჩნდა.

ჯერ ვცადე ჭიდან ამოვსულიყავი... ამოხტომაც მოვიწოდე... მაგრამ... – მიშველეთ!.. ახლა კი ხმის ჩახლევამდე ავღრიალდი. ჩემი მშველელი კი არავი იყო!

ღრიალით რომ დავილაღე, კვლავ ჭის ფსკერზე ჩავიმუხლე და არც იმ პეტრეს დარდი მკლავდა – წყალი რომ არ მომცა თავისი ჭიდან.

– ოხ, კახა, კახა! არც შენი „ყაზბეგი“ მინდა და არც შენი ჩამონოდებული წყალი, ოღონდ აქედან ამოვიდე და, მე ვიცი, რაცას გიზამ! ცას ავხედე. უკვე ჩამოხნელებულიყო. ახლა სიცვიისაგან კანკალმაც ამიტანა, თანაც, ძალიან მომხივდა.

– მამაა, მამაა! – შემომესმა კახას ხმა და კიბის ბრახუნიც გავიგე. როგორც იყო კიბეზე მილასლასებული ავედი, მუხლების კანკალი ძლივს დავიკე და მწვანე მოლზე მივხეცი. შემინებული კახა სახეზე ლუდს მასხამდა და მეფერებოდა.

– იცი მამი, მალაზიაში რომ მივედი, იქ ჩვენი ბიჭები დამხვდნენ. ერთ ჭიქას მეორე მივაყოლეთ, მეორეს – მესამე და როცა მშობლების სადღეგრძელო შევსეთ, მაშინლა გამახსენდა შენ, ჭაში რომ იყავი და ქუდმოვლელი გამოვიქეცი.

– ოხ, შე შობელძალო, შე უსინდისო, შენა! რამდენჯერ გითხარი, რომ პირველი სადღეგრძელო მშობლებისა უნდა შევსა, პირველი! – ვიღრიალე და ფერნაცვალი კვლავ ცივი მინაზე მივედე.